ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №648255

ნომერი: AR1122998

თარიღი : 08.04.2013

გაცემის თარიღი : 17.04.2013

გაცნობის თარიღი : 18.04.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , კვარტალი V , კორპუსი 1 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , V კვ , ნაკვეთი N04/021-ის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის , V კვარტალი , კორპუსი N1 , მიმდებარედ (ნაკვეთი 04/031)/ ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , კვარტალი 5 , კორპუსი N1-ის მიმდებარედ , (ნაკვ. 4/27) / ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირი , V კვარტალი , კორპუსი N1-ის მიმდებარედ, ნაკვ. 4/27-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან დევნოზაშვილი პ/ნ 15001000042
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 169 ბ. 39

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი
- II კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო და დამხმარე ფართის მოწყობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რაფაელ ხეთაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "სფეის რუმ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202459721

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "ლამა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406049636
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლევან დევნოზაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 15001000042

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 273936
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 20.07.2012

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 151735
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.05.2012

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან თქვენს მიერ მოთხოვნის შინაარსის ტექსტში დაფიქისრებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ უნდა განხორციელდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების კორექტირება, ამისათვის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, რომ დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე (მშენებლობის ნებართვა ვადაში იყო 2012 წლის 08 ნოემბრის ჩათვლით). გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზრვრების კორექტირების შემდგომ საჭიროა ელექტრონული განცხადებით საკითხი დააყენოთ 2011 წლის 14 სექტემბრის #1461 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებების შეტანის კუთხით (აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა ელექტრონულ განაცხადებში აირჩიოთ „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“– შემდგომ ნომენკლატურაში „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება“ და შეავსოთ შესაბამისი ველები), ხოლო შემდგომ ეტაპად კი საკითხი დააყენოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის კუთხით.

დამატებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან თქვენს მიერ წინამდებარე განცხადებით უკვე გადახდილ იქნა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი, ამისათვის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მშნებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე შესაძლებელია ატვირთულ იქნას მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის დამადასტურებელი ქვითარი.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.